მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი
მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გამოყენების
და მართვის საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი №9

ქ. მარტვილი 21 ნოემბერი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე, დამთავრდა 13:30 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ლაშა ქობალია, ალექსანდრე გრიგალავა, ჯამბულ ხუროძე, მინდია გაბისონია, ელენე კოკაია.

სხდომას თავმჯდომარეობდა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გამოყენების და მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლაშა ქობალია.

მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ ლაშა ქობალიამ დღის წესრიგის პროექტი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი-ლაშა ქობალია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გამოყენების და მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/

კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.

რეგისტრაცია გაიარა კომისიის 5–მა წევრმა.

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გამოყენების და მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ლაშა ქობალიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის წერილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რომელიც მოიცავდა, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის განმარტებით ბარათს, 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტებს, კაპიტალური ბიუჯეტის დანართს,

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა) იპ-ების შემოსულობების გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილებას, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული და ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანოების ნუსხასა და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმს.
სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე სადაც მუხლობრივად იქნა განხილული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი.
კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საკითხი.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე 4. წინააღმდეგი 1.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საკითხი და აღნიშნული საკითხი მომზადებულად ჩაითვალოს საკრებულოს სხდომაზე გასატანად.
ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ლაშა ქობალია